

# კოკაზ



№7, 2015



## მძინარე ბაკოცნიორი

მზემ დაკოცნა ერთი გოგო,  
ახლა დადის ნაკოცნებით,  
ის ისეთი ლამაზია,  
რომ შეხედოთ, გაოცდებით.

გაზაფხულზე უვავილებად  
მზის ამბორი ამჩნევია,  
სულ იღიმის, მნიარულობს,  
მას მოწეუნა არ სჩვევია.

წითურ თმაში გვირილები  
მძივებივით ჩაბნევია,  
მის სახეზე გარსკვლავები  
ვერ დავთვალე, რამდენია.

მეც გაგხდები ანცი გოგო,  
შემოვივლი მზისფერ სოფლებს,  
მზის სხივებით აფიქსები,  
დავიწატავ ციცქანა ჭორფლებს.



მხატვარი  
ანა კანდელაკი

# გიგანტის ჩხივვები

ეს ამბავი თქვენ, იქნებ, ზღაპრად მოგეჩვენოთ, მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენს მხარეში ზოგჯერ ასეთი ამბებიც ხდება.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩხივვი მეტად ეშმაკი და ჭკვიანი ფრინველია. მაგრამ თურმე მისი მოშინაურებაც შეიძლება, ბარტყები უნდა მოიყვანო შინ. არა, ბარტყების მოპარვა ფრინველისათვის მეტად ცუდი საქმეა, მაგრამ ამასაც კადრულობს ზოგი. ჰოდა, ჩვენს გიგილოსაც უპოვია დაბურულ ტყეში ჩხივვების ბუდე და სამი ბარტყი შინ წამოუყვანია. გაუკეთა პატარა ფრინველებს გალია და ზრდიდა, როგორც შეეძლო. როცა ჩხივვები დაფრთიანდნენ და წამოზარდნენ, გარეთაც გამოუშვეს. საოცარი სანახაობა იყო: ეს ცისფერფრთიანი ონავრები ქათმებთან და ინდაურებთან ერთად კენჭავდნენ პურის მარცვალს, სიამოვნებით შეექცეოდნენ ჭუკებისათვის მოხარშულ მხალ-

საც. ჯერ გიგილოს ეზოს მიეჩვივნენ, მერე კი მეზობლებთანაც დაიწყეს გადაფრენა, სახლებში შედიოდნენ და იქაურობას ალიაქოთში ხევდნენ: თაროებიდან ჯამ-ჭურჭელს ყრიდნენ დაბლა. ნემსებს, მახათებსა და წინდის ჩხირებს იტაცებდნენ და შინ, გიგილოსთან, მიჰქონდათ. წყაროსთან შეკრებილ ქალებს ჩაუქროლებდნენ და თავსაფრებს სტაცებდნენ, მამაკაცებს ქუდებს ხდიდნენ და გიგილოს ბოსტანში აგროვებდნენ, ბავშვებს ხომ მოსვენებას არ აძლევდნენ – მთელი დღე მათთან თამაშსა და ანცობაში იყვნენ გართულნი. განსაკუთრებით მოწითალო ფერები იზიდავდათ. ოლოს წითელი თავსაფარი ერთხელ მთელი დღე აფრიალეს აღმა-დაღმა და ბოლოს დიდი კაკლის კენწეროზე ჩამოკიდეს; ნიაკოს ჭრელი ქუდი ისე მოეწონათ, რომ თავიანთ გალიაში შეიტანეს და ზედ მოიკალათეს. გასაშრობად გარეთ



გაფენილ ბავშვების ტანსაცმელს თუ კარგად არ დაამაგრებდნენ, უმალ მოიტაცებდნენ და საღმე ტოტზე ჩამოაკონტიალებდნენ.

ზაფხული იდგა და გიგილოს მეზობლები გარეთ სუფრის გაშლასაც ვერ ბედავდნენ – უმალ პატარა ჩხიკვები დაცემოდნენ თავს, ჭიქებსა და თევზებს ამოაბრუნებდნენ, ყველს, პურსა და მწვანილს დაურიდებლად იტაცებდნენ. მთელი უბანი ხალისობდა მათი შემყურებულცა ხანდახან თავსაც აბეზრებდნენ. თუ ვინმეს რაიმე დაეკარგებოდა, გიგილოს მიაკითხავდა, შენს ჩხიკვებს ხომ არ მოუტანიათო. რას არ კადრულობდნენ ეს ეშმაკები: ერთხელ მოხუც ეფრემას აბოლებული ყალიონი გამოაცალეს ხელიდან. ქალები ეზოში ვეღარ ხელისაქმობდნენ. საქსოვ-საკერავი შინ შეჰქონდათ და კარ-ფანჯრებს ხურავდნენ, გიგილოს ჩხიკვებმა არაფერი მოგვტაცონ.

კიდევ კარგი, ურემს, უღელსა და თოხ-წერაქვს ვერ ერევიან ეგ ოხრები, თორემ უსაქმოდ დავრჩებოდითო, — ამბობდნენ გლეხები.




გიგილო გახარებული იყო, მთელი დღე თავის ჩხიკვებს უთვალთვალებდა, ეძახდა და საზრდოს აწვდიდა, თუმცა ფრინველები სარჩოს თვითონაც შოულობდნენ – ყველა სუფრა მათვის არ იშლებოდა? გიგილო გაჯავრებულ მეზობლებსაც ამშვიდებდა და უბოლიშებდა, ნუ გეწყინებათ, ჯერ პატარები არიან, მალე დაჭკვიანდებიან და ამ ეშმაკობას მოიშლიანო.

ერთ დღეს კი პატარა ჩხიკვები სადღაც გაუჩინარდნენ. ყველას გული დასწყვიტა მათმა წასვლამ, ყველას მოაკლდა მათგან მოგვრილი მხიარულება.

როგორ გვართობდნენ, კაცო, რა კარგები ყოფილან, ჩვენ კიდევ ვუბრაზდებოდითო, — ამბობდნენ გიგილოს მეზობლები და ტყისკენ



### იპოვეთ რვაზესას შესაბამისი ჩრდილი:





იმედით იყურებოდნენ, იქნებ დაგვიბრუნდნენ  
ჩვენი გამხალისებელი ჩხიკვებიო.

გიგილო ხომ ადგილს ვერ პოულობდა, მთე-  
ლი დღე ტყეში დაეხეტებოდა, უსტვენდა და  
ეძახდა თავის ჩხიკვებს, მაგრამ ამაოდ.

რა მოხდა, რატომ აიყარეს პატარა ჩხიკვებ-  
მა სიფელზე გულიო? — უკირდათ ერთად  
შეკრებილ მეზობლებს.

მე გეტყვით მაგათ ამბავსო, — თქვა მოხუცმა  
ეფრემამ და დაიწყო, — ერთ ადრიან დილით,  
როცა გიგილოსაც და თქვენც ყველას გეძი-  
ნათ, კაკლის ხეზე ორი დიდი ჩხიკვი შევნიშნე,  
რომლებიც გიგილოს ჩხიკვებს ეხმიანებოდნენ. მალე  
სამივე ბარტყი მათთან მიფრინდა და  
ახლოს ჩამოუსხდნენ. მერე დიდხანს მესმოდა  
მათი ჩხავილი. ჩხიკვების ენა არ ვიცი, მაგრამ  
კარგად ვხვდებოდი ყველაფერს: დიდი ჩხიკვები  
პატარებს ტუქსავდნენ. ის ორი დიდი ჩხიკვი  
გიგილოს ჩხიკვების დედ-მამა იყო, რომლებმაც  
ძებნის შემდეგ მიაკვლიეს თავიანთ შვილებს და  
ახლა ტყისაკენ ეპატიჟებოდნენ:

შვილებო, ჩვენ დიდად გავიხარეთ თქვენი


ნახვით, ახლა დროა, მორჩეთ ადამიანებთან  
ცხოვრებას და ჩვენთან ერთად წამოხვიდეთო.

აქ ყოფნა ძალიან მოგვწონს, ხალხს ვუყ-  
ვარვარო და ჩვენც გვიყვარს ისინი, მათთან  
თამაშს რა ჯობსო? — ეუბნებოდნენ შვილები.

ჰო, შვილებო, მაგრამ რამდენი დღე გავლი-  
ეთ თქვენზე დარდში, რამდენი გეძებეთ! ნუთუ  
მშობლებს გვერდი უნდა უქციოთ და აქ დარ-  
ჩეთ? ჩხიკვებს ჩვენი ცხოვრება გვაქვს და მას  
უნდა მივსდიოთ, ხალხის გასართობად როდი  
გავუჩენივარო ღმერთისო.

შეებრალათ შვილებს მაშვრალი მშობლები,  
სამივენი მათთან მიფრინდნენ, ნისკარტები და  
ფრთები შეახეს. ალბათ, იგრძნეს მშობლიური  
სითბო. მერე კი დიდმაც და პატარა ჩხიკვებ-  
მაც ფრთები გაშალეს და ტყისკენ გაფრინ-  
დნენ. ასეა, ყველა თავის მშობლიურ ადგილს  
უნდა დაუბრუნდეს, სრულფასოვანი ცხოვრე-  
ბით რომ იცხოვროს. გარეულ ფრინველებს  
ჩვენთან ცხოვრება არ არგიათ, მათ თავიანთი  
წესი და რიგი აქვთ, ჩვენზე კარგადაც იწყობენ  
ცხოვრებასო, — დაამთავრა სიტყვა მოხუცმა.

**მხატვარი გიორგი მალრაძე**





ვასილ გულაური

## უკონმი

ოკეანე ადელდა,  
ტალღა ტალღას ეხლება.  
ჩქარა, თორემ ხომალდი  
ხიფათს გადაეყრება.

კაპიტანი ხმამაღლა  
მითითებებს იძლევა:  
— ყველა აფრა დაუშვით,  
მალე შტორმი იწყება!

სათითაოდ მიმართავს  
ბოცმანსა და იუნგებს.  
უსმენენ და კაპიტანს  
ყველა ერთხმად მიუგებს:

— შევასრულებო ყველაფერს,  
რასაც გვეტყვი, კაპიტან!  
შენთან ერთად, იცოდე,  
ყველა ხიფათს ავიტანო!

თამაშობენ ბავშვები,  
თავშეეყრილნი ჯგუფურად.  
გემი არის ნაფოტი,  
ოკეანე — გუბურა.



მხატვარი  
ლიკა გურგენიშვილი

ციხო არსენაშვილი

## ქუჩა, ჩომეერსაც ასფარტი შემოაცვდა

ერთ დღილას სახლიდან გამოვედი. ვჩეკარობდი. ერთ ასეთ ასფალტშემოცვეთილ პატარა ქუჩას დავადექი ავტობუსის გაჩერებაზე მისასვლელად. ფეხთ თხელძირა „წკა-პუნები“ მეცვა. მიუხედავად იმისა, რომ მეჩეკარებოდა, ვი-გრძენი, ნაბიჯი შევანელე და ფეხს სწორედ იმ ასფალტ-გაცვეთილ ადგილებს ვაბიჯებდი, სადაც მიწა ჩანდა, სადაც ზოგან ბალახსაც კი ამოეყო თავი. ბალახი გამინაწყენდა: – ცოდო არა ვარ, ასე უღმრთოლ რატომ მქელავო. დავიხ-

არე, მოვეფერე, მოვუბოდიშე. თან მიკ-ვირდა, ხომ მეჩეკარება და ასე რატომ მივზოზინებ-მეთქი. მერე მივხვდი, მიწა მიზიდავდა. ასფალტის ნაცვეთებშორის მოქცეული, ტყვეობიდან გათავისუფლებული მიწა საოცარ ენერგიას მაძლევდა, თითქოს რაღაც ამბავს მიყვებოდა კიდეც; აკი ბალახების ენაც გამაგებინა.

და მაშინ ვიფიქრე: თურმე რა კარგია, რომ გარეუბანში ვცხოვრობ, რა კარგია, რომ ვიღაცის უგულისფურობის თუ დაუდევრობის გამო ჩემს ქალაქში არის ქუჩები, რომელთაც ასფალტი ალაგ-ალაგ გასცვეთიათ და გაცვეთილ ადგილებში ჩანს მიწა, მიწა, რომელიც აღმოგვაცენებს, გვასაზრდოებს, ერთმანეთის ენას გაგვაგებინებს და ბოლოს დაგვაბინავებს კიდეც.

მე ასე ვფიქრობ, შენ?



მხატვარი  
ანა ხვიჩია

## იპოვე ა განსხვავება



მხატვარი  
ლიკა გურგანიშვილი



# ლიტერატურული გეირაზი და ეპთი პროტოტიპი

ლიტერატურული პერსონაჟი ლიტერატურული ნაწარმოების მოქმედი გმირია. პერსონაჟი შეიძლება იყოს ადამიანი, ცხოველი, ნივთი, ზღაპრული არსება და სხვა.

ზოგიერთი ლიტერატურული გმირი ავტორის გამოგონილია, ზოგიერთი ზოგიერთი ლიტერატურული გმირი ავტორის გამოგონილია, ზოგიერთი კი რეალურად არსებობდა.

რეალურ ადამიანებს ან ცხოველებს, რომლებსაც ავტორი ლიტერატუ-

რული პერსონაჟის შესაქმნელად იყენებს, პროტოტიპები ენოდებათ.



ცნობილი იტალიელი მწერლის კარლო კოლოდის ზღაპრის „პინოქ- იოს“ პროტოტიპია პინოქიო სანჩესი, რომელიც ფანად ძალიან პატარა იყო და ამის გამო სამხედრო სამ- სახურში მედოლედ გაამწესეს. ჯარში მან თხუთმეტი წელი იმსახურა და შინ ხეიბარი დაბრუნდა – დაზიანებული ფეხების ნაცვლად ხის პროთეზები ჰქონდა, ხოლო ცხვირის ნაცვლად – ხის ფირ- ფიტა. პურის ფულს პინოქიო საცირკო ბალაგანში ტრიუკების (საცირკო ილეთების) შესრულებით შოულობდა.



„პინოქიოს“ ავტორის ნამდვილი გვარია ლორენცინი. კარლო ლორენცინი (კოლოდი) თავისი ქვეყნის პატრიოტი იყო და იტალი- ან დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, როგორც ჩვეულებრივი ჯა- რისკაცი.

„პინოქიო“ პირველად იტალიურ საბავშვო გაზეთში დაიბეჭდა 1880 წელს.

ნაწარმოები თარგმნილია მსოფლიოს 260 ენაზე.

პინოქიო დღესაც ძალზე პოპუ- ლარულია. იგი იტალიაში გამართუ- სონაჟია. იქმნება პინოქიოს მსგავსი ჩის „ხისმთლელები თითოეულ თო- ჯინას დღესაც ხელით ამზადებენ.“

მოამზადა  
გელა გველასიანა



ზღაპარ „პინო- ქიოს“ მიხედვით დაწერა რუსმა მწერალმა ალექსეი ტოლ- სტოიმ ცნობილი „ბურატინოს თავგადასავალი“.





იცი, პამიღორი რატომ  
**წითლდება?**  
იმიტომ, რომ მორცხვია.

ჟირაფს  
ამსიგრძე  
კისერი  
რომ აქვს,  
სიმაღლის არ  
ეშინია?

ზოგჯერ ღრუბლები  
ცაზე  
ლამაზ  
ნახატებს  
ხატავენ.

ანა კანდელაკი

# ვინ იპოვის რომას?


მზია ჩხეთიანი

კად ბიჭად ვინ გოქვათ?  
კად გოგოდ ვინ გოქვათ?  
როგორ თუ — ვინ!  
ვინ და —  
ვინც იძოვის რითმას!

უთენია აფრინდება...  
და რას იზამს?  
როგორ — რასა?!  
ცისერის ზარის დარისხებას  
ვინ დაასწრებს ტო.....?


ტქეში შევეღ, ნაწვიმარებე,  
ბილიქს მივევე, ოქრობოკროს.  
პძრიფე, პძრიფე, მოვაგროვე  
ბლომად ს...

ამ ზაფხულს მთელი ჭალათა  
დავბრიფე ქნოს ბოლოში...  
ახლა, თუ ვინმე აფად ზართ,  
ჩვენ გიმკურნალებთ ჟ....



იპოვე ორი ერთნაირი ვაგონი  
და დაითვალე რამდენი კატაა  
მატარებელში.

მხატვარი ანნა კანდელაპი



# სახალისო

## ანბანთქება

— აბა, აქეთ მობრძანდით,  
ადრე აკვსენ კარს ურდული,  
ა-ნი ამქარს მოუძღვება,  
ამბებია აბურდული:  
არც — არაკი, არც — ზღაპარი,  
არც — შაირი, არც ანდაზა...  
სახალისო, სალალობო  
ანბანთქება გიღებთ კარსა!

**ა**ლაზინისირს, ალოობას  
ალმურია, ალხია,  
ადრე ამდგომს არ აწუხებს,  
აბდალაზე ახია!

**ბ**იბოს ბატიფეხურით  
ბედნიერობს ბებული.

**გ**უდიანი გადის გარეთ,  
განა გოგოს გააჩარებს,  
გუდა გოგრით გამოავსო —  
გემრიელი გემო აქვსო.

**დ**ეგააცი დევთან დაუობდა,  
დარდობდა დედა დევისა;  
დებაცმა დევი დაბეგვა,  
დარი დაუდგა დევგ მირსა!

**ე**ლამ ერკემლის ექვანი  
ენძელას ენძიანება,  
— ეფარე ეგალ-ბარდესაო,  
ერიდე ერკემალსაო!

**ვ**იდრე ვანო ვაქირს ვაჭრობს,  
ვანოს ვირი ვაინაჩრობს!

**ზ**ეიმი აქვთ ბიზონებს,  
ზებრა ზოლებს იზომებს!

**თ**ათარა თუხთუხ-თიმთიმებს;  
თაგვი თხილსა სთხოვს თრითინებს.

**ი**სე ისერის ისრებს გური,  
იფხორება ინდაური!

**კ**ინგილა კოჭლი კურდღელი  
კაპარჩინობს და კაპასობს,  
— კორდსმილმა კვალში კალია  
კვნეტს კომბოსტოს და კამასო!

**ლ**ომი ლომურად ქელავს ლაქაშებს,  
ლეპვი ლერწმებთან ლაფში ლაშლაშებს.

**მ**ოვუევები მამას ლექსებს,  
მეფერება, მიალერსებს!

**წ**აცარქექია ნატერით ნეტარობს —  
ნაძვის ნაცარი მქონდეს, ნეტავო!

**ო**კამთან ორი ობობა  
ორმოში ორ დღეს ომობდა!

**ჟ**ანტიანში ზანტა ბუნტობს  
ზაქრობს და ზანტაზუნტობს.

**კ**ირაფს ემჟავა მაჟალო,  
ქოლოსა უურავს ჟამჟამო.

**ჩ**ატი რიცხვებში რიალებს,  
რგიანში ურევს ცხრიანებს.

**ს**ოსოს სკამთან აქვს სადაცო,  
სკამმა — საიდან სადაო?

**ც**ანჯულ ტაფის გატედა ტარი!  
კატამ ტვლინა ტაფამწვარი.

**უ**მაღური ურჩობს, ურევს...  
უღვთოდ უჭირთ უმაღურებს.

**ვ**ეტვის ფაფა ფახიფუხობს,  
ფომფლოსა და ფუუეს უხმობს.

**ძ**გემოუბნელ ქალბატონს  
ქარი უქრის ქაბატოს.

**ც**იმილიანობს ღიღილო,  
ღელესთან ღალღა ღინღილობს.

**ყ**ბაჩომ უვინთა ბაჟაური,  
უვირის, უმუის — გაი ური!



**ქ**ოშიებმა შეჰქმნეს შარი, —  
შეამჩნიეს შაშვის შარმი!

**ჩ**ოხორს ჩაგრავს ჩიჩინი,  
ჩამოუშვა ჩიჩირი!

**ც**რის, იცილებს ცაცხვი ცვარებს;  
ცოცხი ციცას უცაცხანებს.

**ძ**იძგილით და მმაკაცურბად  
მმებმა მმები მუჟნეს მმურად.

**ნ**იწეანებმა წიაქით წაუფრინეს წარაფებს,  
წინწეაროსთან წიფლის წინ წიწიბოსაც  
წააწედნენ.

**ჭ**ორფლიანი ჭერამი  
ჭირვეულობს, ჭიჭიინებს...  
ჭარტალებენ, ჭორავენ  
ჭილევავები ჭრიჭინებს.

**ბ**ილიანი სახალი —  
სმაურ-ხორხოც-ხარხარი!

**ჭ**ერ ბრ ჯდება ჯიუტ ჯორზე —  
ჯიბო ჯავრობს ჯიბლიბოზე!

**კ**ოტროველა ჭამავს ჭევარობს,  
— ჭაი, გიდი, — ჭაიჭარობს!



## თიბეთი

თიბათვეა, თიბათვე,  
მთიბველები თიბავენ.

მოითიბა ბალახი,  
სურნელია თივის,  
ნიავი კი დაღლილს  
ცეკვა-ცეკვით მივლის.

პაპამ თქვა: ჩვენს შვინდას  
მოვუგროვოთ მარაგი,  
ზვინი დავდგით იმდენი  
აღარც არის აღაგი.

როცა ყინვა გვეწვევა  
და დაგვსუსხავს აშარი,  
შვინდას უხვად ექნება  
საუზმეც და ვახშამიც.



## დალი მაჟაიშვილი

### ჯიუტი ციცილი

გულფვითელა წიწილები  
დედას ფრთებში ჩაკვრიან,  
კრუხი შვილებს როშ დაითვლის,  
ერთი მანც აკლა.

წიავ-წიავ — მოისმის და  
მორბის ეკლის ბარდიდან,  
ამ დილითაც საბუღრიდან  
სკუპ და... გადმოვარდნილა.

კრუხს სწყინს შვილის სიჯიუტე,  
სულ ზრდის ნაქებ ვარიკებს,  
გულფვითელა დედის ნათქვამს  
ვერ იგებს თუ არ იგებს?



# ბობრა

ცხელ მიწაზე განოლილა, თვალები მიბლეტია და სიცხისგან თავი უსკდება...

რა იქნება, ან ნიავი დაიძვრებოდეს, ან ღრუბელი მოეფარებოდეს ამ მზეს...

ცალი ხელით ოფლს იწმენდს, ცალი ხელით მზისგან იჩრდილავს, მაგრამ სიცხისგან გათანგულს ეგ რას უშველის? გული უღონდება...

ოჳ, ზოგს რა ბედი აქვს; ის მსხალი ჩემზე ნაკლებად გაბერილი როდია, მაგრამ განგებას მაღლა, ჩრდილში, ფოთლებქვეშ შეუკიდია. ხან ნიავი უვლის, ხან მზე ათბობს. ქანაობს და თან ზემოდან უყურებს დედამინას... მე კი მუცელი ვერ ამინევია მინიდან, სიცხესა თუ სიცივეში გაუნძრევლად ვწევარ.

აბა, როგორ გაინძრევა მსუქანი გოგრა? ჯერ ერთი, თუ არ გასუქდა, მოწყვეტენ და უმოწყალოდ მოისვრიან ხევში... მეორე კიდევ ის, რომ ჭამა თვითონაც უყვარს – ჭამს, ჭამს სუქდება, მერე მოწყვეტენ მსუქან გოგრას და დადებენ საკუჭნაოში იქამდე, ვიდრე ზამთრის სუსხი არ შეაწუხებს ადამიანებს.

წუხელ სიცხე ჰქონდა გოგრას. დღესაც გაბრუებულია, მოიწყინა, დანალვლიანდა... დაესიზმრა, რომ მოწყვიტეს და სადღაც შემაღლებულ ადგილას დადეს. იქაც გაუნძრევლად იდო... შეწუხდა გოგრა, ნეტავ, ერთხელ მაინც თუ ელირსება გასეირნება?..

იმ სულელმაც მთელი ღამე ტვინი წაიღო, ენა არ გაუჩერებია. ნეტავ, შეეძლოს თმით ითრევდა და კაბასაც შემოახევდა...

მართლაც მთელი ღამე მოსთქვამდა სიმ-

ინდი: გამხდიან ჩემს ლამაზ კაბას, დამაგლეჯენ დალალებს და ცეცხლში გამომბუგავენო...

ნინასწარ რაღას ტირის, ტირილი მერეც ეყოფა, როცა მაგ დღეში ჩააგდებენ...


ბრახ! — ძირს დაეცა მსხალი, დაიზილა გვერდები და თავიც გაუსკდა... თვალზე ცრემლი მოადგა გოგრას. არადა, როგორ შურდა მისი, საწყალი მსხალი, ლამაზი მსხალი... ახლა ვეღარ დატკბება გოგრა მისი მზერით ყოველდღე...

სულ მას შესცეკროდა გოგრა, შორიდან უყვარდა და უხაროდა, როდესაც მისი მზერით დარცხვენილ მსხალს ლოყები უნითლდებოდა... დღეიდან კი გამოემშვიდობა სატრფოს. ტირის გოგრა, ტირის, თავს იკლავს ტირილით...

მზე ლურჯ მთებში ჩაესვენა და გოგრაც დაიღალა ამდენი ტირილით, ცრემლი შეიმშრალა და თავზე ფოთოლი წაითარა ქუდად – ღრმა ძილს მიეცა...



## ფილოსოფოსი ჭუკა



ღობესთან ნაკადული მორაკრაკებდა, საგუბარში ჩადიოდა და მერე მინდორში თავის გზას აგრძელებდა. გუბეში იხვი და მისი ჭუკები ჭუმპალაობდნენ, დალივლივებდნენ, ლადობდნენ. მხოლოდ ერთი გრძელკისერა, ნაპირზე იდგა და ჩაფიქრებული წყალს დასცეროდა.

— ვიხ, ვიხ! ჭუკა, მანდ რას აკეთებ?! ჩამოდი წყალში! — დაუძახა დედამ.

მაგრამ ჭუკამ, თითქოს დედის ნათქვამი არც გაუგონიაო, ხმამაღლა იკითხა:


— ნეტავ საიო მიდის ნაკადული?

— საიო და, მდინარეს უერთდება, ვიხ, ვიხ! — დიმილიო მიუგო დედამ, — მდინარისაკენ ბევრი ნაკადული მიედინება.

— მდინარე საიოდა მიდის?

დედა ჩაფიქრდა:

— მაგას კი ვერ გეტყვი, არ მინახავს.



ჭუკა შემოტრიალდა და გაჩქარებული ნაბიჯით ეზოსკენ წაბაჯბაჯდა. ეზოში ხუთიოდე წლის ბიჭუნა ქადალდის მტრედს ჰაერში უშვებდა. მტრედი გაფრინდებოდა, გაფრინდებოდა და ცხვირით მიწაზე ეცემოდა. ბიჭი მიირბენდა, ხელს დასტაცებდა და ახლა სხვა მხარეს გაუშვებდა ხოლმე.

— გიო, გიო! — შესძახა ჭუკამ, — საიო მიდის მდინარე?

— მდინარე ზღვისკენ მიდის, დიდ წყალში ჩაედინება.

— ზღვა საიო მიდის?

— ეგ კი აღარ ვიცი, — გიომ მტრედს ხელი უშვა, — მოდი, მამაჩემს ვკითხოთ!



ისინი კოპტია, აივნიან სახლში შევიდნენ. ოთახში, წიგნებით სავსე მაგიდასთან, ახალგაზრდა საოვალიანი კაცი იჯდა და რაღაცას წერდა.

— მამი, მამი, საიო მიდის ზღვა? — პკითხა ბიჭმა მამას.

მამამ წერას თავი ანება და უპასუხა:

— ზღვა ოკეანეს უერთდება, ოკეანეები კი ერთმანეთს და დედამიწის დიდ ნაწილს ფარავენ.

— ოკეანე როგორია? — იკითხა ჭუკამ.

— ოკეანე უზარმაზარი წყალია, რომელიც გამუდებით მოძრაობს. ის სავსეა ცხოველებით და წყალმცენარეებით. მასში სიცოცხლე დუღს და გადმოდუღს.

— გუბურაზე დიდია? — გაიოცა ჭუკამ.



მამას გაეცინა:

— იმდენად დიდი, რომ ვერც კი წარმოიდგენ.

ჭუკა ნაკადულთან დაბრუნდა.

— რა ქენი, გაიგე, საიო მიდის მდინარე? — პკითხა დედამ.







— ყველაფერი გავიგე! — ამაყად ოქვა ჭუკამ,  
— ნაკადული მდინარისკენ მიედინება, მდინარე —  
ზღვისაკენ, ზღვა კი ოკეანეს უერთდება, რომელიც  
ჩვენს გუბურაზე ბევრად დიდია.

ეს რა ჭბვიანი შვილი მყავს?! ნამდვილი ფილო-  
სოფოსია!

ჭუკამ კი კეფა მოიფხანა და თავისთვის ჩაიყ-  
ყინა:

— ერთი რამ მაინც ვერ გავიგე, ოკეანე რატომ არსაით მიდის?! — ესა თქვა და, ბევრი ადარ  
უფიქრია, წყალში მოადინა თქაფანი.







5



4



2



3



1



შეავსე კროსვორდი დანომრილი  
ნახატების მიხედვით და გაიგე,  
რა ჰქონდებოდა მწერის განვითარების  
იმ სტადიას, როცა ის მატლის  
მდგომარეობიდან სრულ  
სიმწიფეში გადადის.

## ჩირავები




5



კენ



ძოქ



ჩ

# კუსისა

მე მისი პატრონი არ ვყოფილვარ. უბრალოდ, ვმეგობრობდით. ვესაუბრებოდი ხოლმე. ჟველაფერი ესმოდა. ოვალებით მეპასუხებოდა – გონიერი, მკაცრი, მუდამ შემართული.

ერთხელ ბავშვებმა გააბრაზეს. გაკვირვებულმა შემომხედა. მიუტევე, ჯერ ბრიყვები არიან-მეოქი. ზანტად გაგვეცალა, ეზოს შორეულ კუთხეში შეიყუეა და კარგა ხანს აქეთ ადარ გამოუხედავს.


იმ ზაფხულს ლეკვები დაყარა, საშინელი დორმუცხველები. სალაფავს პირწმინდად სან-სლავდნენ, დედას ცარიელ ჯამს უტოვებდნენ ამოსალოკად. გახდა, გაძვალტყავდა, მაინც ბედნიერი დედა იყო.

ერთი წლის წინათ გაქრა...

ახლაც არ ვიცი, რა დაემართა. გიორგობა დღე იყო, ბოლოს რომ ვნახე. საცუცნავი დამიგროვდა. ავუტანე. გაიხარა, მისი მადლიერი ოვალები არ მავიწყდება, ეს კია, გამიკ-ვირდა, ჩვეულებრივ, ჭიშკრამდე რომ არ გამომაცილა.

გრძნობდა, რომ უკანასკნელად მხედავდა?!

მე კი ვერაფერს ვხვდებოდი...



მხატვარი ანა სვირია

გიორგი ლივანევაშვილი  
2 წლის



გიორგი ლივანევაშვილი  
6 წლის





მთავარი რედაქტორი: ლოდო ნიკოლაძე  
ნახატი ყდაზე: ანეა კამელაკისა

მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბაკშვილ გამომცემლობა დილა  
ფასი: 2.50 ლარი



შურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა  
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

